№ 227
შაბათი, 24 ოქტომბერი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 227
შაბათი, 24 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

სამშაბათს, 27 ოქტომბერს,

დათა ივანეს ძის სულხანიშვილის

გარდაცვალების წლის თავზედ სოფელს ტირძნისის ტაძარში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რის გამოც განსვენებულის ძმა მამა **ივანე** და **მარიამ სულხანიშვილები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ წირვასა და პანაშვიდზედ. (1—162—1)

22-ს ოქტომბერს გარდაიცვალა

თავადი ილია დავითის ძე ხერხეულიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და მიცვალებულისა **კნეინა ეკატერინე დავითის ასული ციციანოვისა** და რძალი **კნეინა ნატალია ალექსანდრეს ასული ხერხეულიძისა.**

პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის პირველ საათზედ და საღამოს 7 საათზედ.

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარის სახლიდგან, წყნეთის ქუჩაზედ № 6, კვირას, 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, ვერის სასაფლაოს ეკკლესიაში და დაჰკრძალავენ იქვე. (2—163—1)

ქვრივი ნადვორნი სოვეტნიკისა **ნინა გიორგის ასული კანდელაკისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 26 ოქტომბერს, სოფელს კავთისხევში იქნება გარდახდილი წლის წირვა

საშა (ივანე) მიხეილის ძის კანდელაკისა,

პირველისა შვილისა, მეორეთა უძვირფასესი ძმისა. (1—164—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ი. ბურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 24 ოქტომბერს, დილის 8 საათზედ, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ კახეთში წაბრძანდება. მთავარ-მართებელი გზაზედ შუამთის მონასტერს ინახულებს, შემდეგ თელავზედ გაივლის და ღამეს წინანდალში გაათევს. 25 ოქტომბერს, კვირას, მათი ბრწყინვალება თელავში ამოვა, ხოლო საღამოზედ ისევ წინანდალში დაბრუნდება. ორშაბათს, 26 ოქტომბერს, თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ სიღნაღის მაზრაში წავა, ღამეს კარდანახში გაათევს, 27 ოქტომბერს ინახულებენ ბოდბის მონასტერს, საიდგანაც სიღნაღში წავლენ და ღამეს გაათევენ. 28 ოქტომბერს მათი ბრწყინვალებანი უკანვე ტფილისში დაბრუნდებიან. მთავარ-მართებელს თან ახლდება ერთი ადიუტანტი და ერთი საგანგებო საქმეთა მოხელე.

⁂ გუშინ წინ, 22 ოქტომბერს, ავჭალის სახალხო კითხვების სადგომში სახალხო ქართული წარმოდგენა იქმნა გამართული. ითამაშეს სუნდუკიანცის პიესა „ხათაბალა". დარბაზი ჩვეულებრივ ხალხით იყო სავსე.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების" ერთ კლასიანი სასწავლებელი გორის მაზრის სოფ. ვანათში წელს ორ კლასიანად იქმნება გადაკეთებული.

⁂ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიასთან დაარსებულს სკოლაში, შენობის უქონლობისა გამო, სწავლა დროებით შეჩერებული იყო. ეხლა, რადგან შენობა უკვე აგებულია, სწავლაც დაიწყება სკოლაში. მსურველთ შეუძლიან თავიანთი ბავშვები ეხლავე მოიყვანონ სასწავლებელში.

⁂ გაზ. „კავკას"-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: „აზრადა აქვთ ყველა იმ საქონელს, რომელსაც პარიჟის გამოფენაზედ ჰგზავნიან, ფოთში მოუყარონ თავი. გა-

ფელეტონი

უცხოთა შორის

ჰოლანდიელის ხასიათი.—მეფის ვილჰელმის გვარეულობა.—ვილჰელმ მესამის დარდი და სიხარული.—პაწაწინა დედოფალი.—საყურადღებო ამბები პაწაწინა დედოფლის ცხოვრებიდგან.—დედოფალის ვილჰელმინას თავის ნათქვამობა და ახირება.—ვილჰელმინას გვირგვინის კურთხევა და ფიცი დედოფლისა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა.

დიდი ხანია, რაც ჰოლანდიაში არ მომხდარა ისეთი შესანიშნავი ამბავი და ხალხს ისეთის ზეიმით არ გადუხდია დღესასწაული, არ გახარებულა ისე, როგორც ამ დღეებში, როდესაც ტახტზე ავიდა ახალგაზდა დედოფალი ვილჰელმინა. ჰოლანდიელი დინჯი კაცია, ჩუმი, შრომის მოყვარე, მხნე და ამასთან დალვრემილი, მაგრამ ხან-და ხან იმანაც იცის სიხარული და აღტაცება. არის ერთი სიტყვა, რომლის გულისათვის ჰოლანდიელი მზადაა მთელს ქვეყანას შეებრძოლოს. ეს სიტყვა გახლავთ „ორანია", საერთო სახელი ჰოლანდიის მეფეთა გვარეულობისა. ეს სიტყვა თვალწინ უყენებს ჰოლანდიელს სახელმწიფოს თავისუფლებას და იმ შესანიშნავს ბრძოლას, რომელიც გამოიარა ჰოლანდიამ მძლავრ ესპანიასთან. ნიდერლანდების განმათავისუფლებელი ვილჰელმი გმირია ერისა; იმისი ძმა ლიუდოვიკო ეხლაც ყველას უკვდავ მეომრად მიაჩნია; იმისმა შვილმა მორიცმა ჰოლანდიის სახელი მოჰფინა მთელს ქვეყანას; შვილი-შვილმა ვილჰელმ-ჰენრიხმა დააარსა ერთგული კავშირი ინგლისსა, ჰოლანდიასა, ავსტრიასა და გერმანიას შორის და ეს კავშირი არსებობდა ვატერლოოსთან მოხდარ ბრძოლის დღემდე. ამ ბრძოლაში ჰოლანდიელებმა თავი ისახელეს. 1830 წელს ჰოლანდიას დაშორდა ბელგია, ინგლისმა სძლია ჰოლანდიას და ჩამოართვა ახალშენები სხვა-და-სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჰოლანდია ისევ ისეთ სახელმწიფოდ დარჩა, როგორიც მუდამ იყო ე. ი. წარჩინებულ სახელმწიფოდ ვაჭრობის მხრივ და ყოველის მხრივ თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ჰოლანდიელები დიდადა სწუხდნენ, რადგანაც ჰხედავდნენ, რომ მეფე ვილჰელმ მესამეს შვილი არა ჰყავდა და მეფის გვარეულობა უნდა მოსპობილიყო. ვილჰელმ მესამის ერთი შვილი პარიჟში გარდაიცვალა, მეორე—შვეიცარიაში. მეორე შვილის სიკვდილის დღეს მეფე 62 წლისა იყო და ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, რომ კიდევ შვილი ჰყოლოდა. მაგრამ შეუძლებელი შესაძლებლად შეიქმნა. მეფემ მეორედ დაიწერა ჯვარი და შეირთო ცოლად ვალდეკის პრინცესა ემმა. რამდენსამე თვის შემდეგ გამოცხადდა: დედოფალი ფეხ მძიმედ არისო. ჰოლონდიის ქვეშევრდომთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დედოფალს ვაჟი-შვილი ეყოლებოდა, მაგრამ იმედმა უმტყუვნათ. 1880 წელს, 19 აგვისტოს დედოფალს ეყოლა პრინცესა ვილჰელმინა, ეხლანდელი დედოფალი ჰოლონდიისა. მოხუცი მეფე კიდევ ელოდდა ვაჟი-შვილის ყოლას, მაგრამ როდესაც ეს იმედიც გაუცრუვდა, იმდენს ეცადა, რომ პარლამენტმა შესცვალა ტახტის მემკვიდრეობის კანონი და გამოაცხადა, პრინცესა ვილჰელმინა ჰოლონდიის ტახტის მემკვიდრე არისო.

მეფის ვილჰელმის სიხარული ენით არ გამოითქმის. ვილჰელმინას დაბადების შემდეგ სულ 10 წელიწადი იცოცხლა, მაგრამ ეს 10 წელიწადი საუკეთესო და ბედნიერი დრო იყო იმის ცხოვრებისა.

მეფე ვილჰელმი გარდაიცვალა 1890 წელს. ჰოლონდიელებმა დედოფლად დააყენეს პრინცესა ვილჰელმინა, ხოლო დედოფალი ემმა დროებით განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. ჰოლონდიელები სიხარულით აღარ იყვნენ. ახალგაზდა დედოფალი მიაჩნდათ „ერის შვილად" და ასე ეძახდნენ კიდეც. დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს თავიანთ ახალგაზდა ბრძანებელის ზრდასა და განვითარებას. ხალხში ათასობით ვრცელდებოდა ამბავი ახალგაზდა დედოფლის შესახებ. აქებდნენ იმის გონებას, ხასიათს და კეთილს გულს. დედოფლის მოვალეობად შეიქმნა შესაფერი აღზრდა ვილჰელმინასი. ყველაზე უწინ მიაქცია ყურადღება შვილის ჯანმრთელობას. ვილჰელმინა მშვენიერი მხედარია და აგრეთვე ველოსიპედით სიარულში ბადალი არა ჰყავს. ამსტერდამის მცხოვრებნი ხშირად ჰხედავენ ხოლმე ვილჰელმინას ეტლში, რომელშიაც ოთხი მშვენიერი ცხენი აბია და თვით ვილჰელმინა ასრულებს მეეტლეს მოვალეობას. დახურულის ეტლით ვილჰელმინა არ დადის, როგორი დარიც უნდა იყოს: წვიმა, თოვლი, ყინვა.

დიდი ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ვილჰელმინას სწავლა-განვითარებას. ახალგაზდა დედოფალმა ჩინებულად იცის ფრანგული, ინგლისური და გერმანული, იცის აგრეთვე ცოტა იტალიური და რუსული ენებიც.

ამასთანავე დედოფალს ვილჰელმინას ასწავლეს ისეთი საგნები, რომლებსაც ქალებს არ ასწავლიან: საადმინისტრაციო საქმე, კონსტიტუციების ისტორია და საპოლიტიკო ეკონომია.

ჯერ ისევ ბავშვი იყო ვილჰელმინა, რომ დიდი ნიჭი ეტყობოდა და დედაც სცდილობდა შესაფერი სწავლა-განათლება მიენიჭებინა შვილისათვის. თუმცა დედა სცდილობდა რომ პრინცესა ამაყი და მედიდური არა ყოფილიყო, მაგრამ ვილჰელმინამ ძლიერ ადრე შეიგნო თავის თავის ღირსება. ერთხელ რაღაც დააშავა და დედოფლის ემმას ბრძანებით სასახლის ერთს ოთახში დაამწყვდიეს. პაწია დედოფალმა ეს ძლიერ იწყინა, დასწერა პროკლამაცია, რომელშიაც ხალხსა სწერდა—თქვენი დედოფალი დაპატიმრებულია და ეცადეთ გაანთავისუფლოთო; პროკლამაცია ფანჯრიდგან გადუგდო ერთს დარაჯს და უბრძანა დაუყოვნებლივ წაეღო ერთის დიდის გაზეთის რედაქციაში. დარაჯმა, რაღა თქმა უნდა, ეს ბრძანება აასრულა და გაზეთის რედაქტორი გაოცებული იყო ამ პროკლამაციით. არ იცოდა რა ექმნა. ცოტა ხანს შემდეგ სასახლიდგან კაცი მოვიდა და მეორე ბრძანება მოიტანა—პროკლამაცია არ დაბეჭდოთო. ამ გვარად პაწია დედოფალმა კინაღამ რევოლიუცია მოახდინა მშვიდობიანობის მოყვარე სახელმწიფოში.

აი კიდევ მეორე მაგალითიც. ვილჰელმინას ერთხელ ასეთი სასჯელი მიუსაჯეს: აუკრძალეს რამდენსამე ხნით დედის ოთახში შესვლა. დიდ ხანს ითმინა თავის ნება ვილჰელმინამ, მაგრამ ვეღარ გასძლო, მივიდა დედის ოთახთან და მუშტებით დაუწყო კარს რახუნი.

— ვინ არის?—იკითხა დედამ.

— ჰოლანდიის დედოფალი!—უპასუხა ბავშვმა მედიდურად.

— ჰოლანდიის დედოფლისათვის აქ ადგილი არ არის,—უთხრა დედოფალმა ემმამ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ გაისმა მორიდებული რაკუნი.

— ვინ არის?—იკითხა ისევ დედოფალმა ემმამ.

მოფენაზედ მიწვეულნი არიან აგრეთვე ცეცხლის მქრობელი საზოგადოებანი, კერძო დრუჟინები და რაზმები*.

*** ახალ-სენაკი. ახალ-სენაკიდგან სამის ვერსის მანძილზედ ს. ნოსირში 17 ამ თვეს კიდევ მეორე სამწუხარო ამბავი მოხდა. ამავე სოფ. მცხოვრებმა ავქ. ფალავამ თავ. დადიანის მეწისქვილეს რევოლვერი დასცა. ავქ. ფალავა ძველ-სენაკში ძალზედ დამთვრალიყო და შესულიყო წისქვილში, სადაც წინ შეხვედროდა მეწისქვილე მ. კერზაია. ფალავას ეთქვა მეწისქვილისთვის „მაკოცე“-ო. მეწისქვილეს ეკოცნა ერთჯერ. მეორეთაც ეთქვა—მაკოცეო, მაგრამ რადგან ფალავას პირიდგან ღვინისა და არყის სუნი ამოსდიოდა, აღარ ეკოცნა მეწისქვილეს, ამის გამო ფალავას რევოლვერი ამოეღო და მეწისქვილისთვის მუცელში დაეცა. ჭრილობა ისეთი საშიშია, რომ ექიმის სიტყვით, დღეს თუ ხვალ სულს დალევს დაჭრილი. დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო და გამოძიება სწარმოებს. ამ ბოლოს ხანებში ჩვენს მაზრაში ძალიან გახშირდა კაცის კვლა და ქურდობა. არ ვიცით, რა გვეშველება.

ეს ათი დღეა, რაც აქეთ მშვენიერი ამინდები სდგას. ყველგან გახურებული მუშაობაა.

*** ქუთაისი. აქაური სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ნიკო ჩიკვაიძე ავად გახდარა ციმბირის ჟამით. იგი ამ ორი-სამის დღის წინად შორაპანში ყოფილა, სადაც თურმე საქონელი ხდება ამ სენით ავად. ამბობენ, რომ ალბად ავადმყოფის საქონლის ხორცი სჭამაო და ამის გამო გახდა ავადაო.

როგორც ეტყობა, წელს იმერეთში ყურძნის მოსავალი უხვი უნდა იყოს. ყოველ დღე ასზე მეტი ყურძნით დატვირთული ურემი შემოდის ქუთაისში მახლობელ სოფლებიდგან. ფუთი ყურძენი თოთხმეტ შაურად ჰფასობს. მოედნები და ქუჩები ისე გაიტენება ხოლმე ყურძნის ურმებით, რომ კაცი გზას ვერ აქცევს.

ქალაქის საბჭო

22 ოქტომბერი

წარსულ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება ხორცისა და პურის ნიხრის შეცვლის შესახებ. გირვანქა ძროხის ხორცზედ 7 კაპეიკის ნაცვლად $6\frac{1}{2}$ კაპ. დააწესა და ცხვრისაზედ 8 კაპ. ნაცვლად $7\frac{1}{2}$ კაპ., ხოლო გირვანქა პირველ ხარისხის პურს $\frac{1}{2}$ კაპ. მიუმატა და 2 და 3 ხარისხისას—$\frac{1}{4}$ კაპეიკი.

შემდეგ ბ-ნმა ვერმიშევმა წაიკითხა ტფილისის გუბერნატორის წინადადება და გამგეობის დადგენილება ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ ამა წლის 14 ოქტომბერს დაადგინა—1) ქალაქმა გამოისყიდოს ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ცხენის რკინის გზა და ხსენებულ საზოგადოებას წლიურად აძლიოს სასყიდლად 115 ათასი მანეთი; 2) იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქს ნება მიეცეს 200,000 მანეთის სესხის აღებისა ამ საქმის მოწყობისათვის. საბჭოს დადგენილება საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა და შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებელს, თავ. გოლიცინს, წარუდგინა დასამტკიცებლად. მთავარ-მართებელს, განუხილავს-რა ეს საქმე, შესაძლოდ ვერ დაუნახავს ქალაქის მიერ ცხენის რკინის გზის წარმოება და ამისათვის სესხის აღება და საბჭოს დადგენილება არ დაუმტკიცებია.

მთავარ-მართებლის დადგენილება ბ-ნს გუბერნატორს ქალაქის გამგეობისათვის წარმოუდგენია 14 ოქტომბერს საბჭოსათვის საცნობელად. გამგეობას თავის მხრივ დაუდგენია, რომ ქალაქს ამ ჟამად მეტი არა დარჩენია—რა, ისევ მოურიგდეს ბელგიის უსახელო საზოგადოებას და ცხენის რკინის გზა ისევ იმის ხელში დასტოვოსო. გამგეობას კიდევაც მიუწვევია ხსენებული საზოგადოების დირექტორი ბ-ნი რობი, რომელსაც უთქვამს, რომ უკანასკნელად (8 ოქტომბერს) რაც შევპირდი ქალაქს იჯარად, იმის მომცემი ვარო.

საბჭომ, მოისმინა-რა მთავარ-მართებლის დადგენილება და ქალაქის გამგეობის მოხსენება, გარდასწყვიტა: 1) მოურიგდნენ უსახელო საზოგადოებას; 2) რამდენსაც ეს საზოგადოება იძლევა იჯარად, იმაზედ ნაკლები მაინც აღარ გამოერთვას და 3) მიენდოს გამგეობას და ათის კაცისაგან შემდგარს განსაკუთრებულს კომისიას საზოგადოებასთან ხელშეკრულობის შემუშავება, რომელზედაც ქალაქის მხრივ გამგეობა მოაწერს ხელს.

ხსენებულ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ნ. ვ. არღუთინსკი, ა. ს. ბაბოვი, მიტკევიჩი, თაიროვი, კ. მ. ალიხანოვი, კარაპეტოვი, ა. ს. ალიხანოვი, ოპოჩინინი, კოჩორიანცი და პ. მ. არღუთინსკი.

ამათ კანდიდატებად აირჩიეს—ბ-ნნი მირზოევი, ა. ა. იოანნესიანი, ლისიციანი და მელიქ-ნუბაროვი.

ქუთაისის საბჭოს კრება.

21 ოქტომბერს საბჭომ დაათავა პირობის კითხვა-განხილვა ქუთაისში ცხენის რკინის გზის გაყვანის შესახებ. ქალაქის მოურავი დაჰპირდა საბჭოს, რომ მე ვკისრულობ ამ პირობის მუხლების უკანასკნელ რედაქციას და მომავალ ორშაბათს ხელ-ახლად წარმოგიდგენთ, რომ საბჭომ კარგად გაიცნოს და გამოარკვიოს ეს საგანიო. შემდეგ წაიკითხეს მუხლები იმ პირობისა, რომლითაც ეკვრება ქალაქს მეორე მეიჯარადრე, ბ-ნი როზენშტეინი. ეს პირობა მცირედის განსხვავებით იგივეა, რაც ბ-ნ არზუმანიანცისა. სურვილი ცხენის რკინის გზის გაკეთებისა გამოუცხადებია აგრეთვე ინჟინერს ბ-ნ მიხაილოვს, რომელიც მალე წარმოადგენს წერილობით პირობას. ერთის სიტყვით, მსურველი ბევრი ჩნდება. სჩანს საქმე სარგებლიანია. აქვე გამოითქვა სურვილი, რომ, თუ-კი ცხენის რკინის გზის გაყვანა ასეთი სასარგებლო საქმეა, კარგი იქნება ეს საქმე თითონ ქალაქმა იკისროს თავისის საკუთარის ღონისძიებითაო. ქალაქის მოურავმა მოაგონა საბჭოს ამ რამდენისამე წლის წინანდელი მთელის საბჭოს გარდაწყვეტილება ამ საგნის შესახებ, რომელიც შეიცავს შემდეგს: საბჭომ ცხენის რკინის გზის გაკეთება სცნა ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმედ, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა თითონ არ იკისრა, რადგან ამისათვის საკმაო საშუალება არა აქვს. ეს საკმაო საშუალება საბჭოს არც ეხლა აქვს, მაგრამ შეიძლება იმდენი ღონისძიება გამოიძებნოს, რომ ჯერ-ხნობით პატარა მანძილზედ გაიყვანოს გზა და შემდეგ გააფართოვოს იგი. თუ პირველად გზა გაყვანილი იქნება იმისთანა ქუჩებზედ, სადაც დიდი მოძრაობაა, შეიძლება იმდენი შემოსავალი ჰქონდეს გზას, რომ ახლო მომავალში გაფართოვდესო. ზოგიერთმა ხმოსანმა სთქვა, რომ, თუ-კი ქალაქი თითონ იკისრებს გზის გაყვანას, რაღა საჭიროა სხვა მეიჯარადრეებთან ლაპარაკი, რაზე ვაკარგვინებთ იმათ ან დროს, ან ფულსაო. ამისდა მიუხედავად საბჭომ გადასწყვიტა მომავალ ორშაბათს მოისმინოს პირობა ინჟინერ მიხაილოვისა და ამის შემდეგ ერთს რომელსამე გარდაწყვეტილებას დაადგეს.

ხმ. ს. გ. თოფურიამ (ექიმმა) მოახსენა საბჭოს სამწუხარო ამბავი, რომ ქალაქში ყვავილი ძალიან ვრცელდება და საჭიროა დაუყოვნებლივ რაიმე საშუალება ვიხმაროთ ამ სენის წინააღმდეგაო; კარგი იქნება, სთქვა ექიმმა, რომ ხუთ-ექვს ადგილს იყოს დანიშნული ფერშლები, რომელნიც ხალხს აუცრიან ყვავილსაო. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ გამგეობამ უკვე მოახდინა განკარგულება, რომ რამდენიმე ფერშალი იყოს დაქირავებული, რომელნიც ქალაქის ყველა ქუჩებს ჩამოივლიან და, ვისაც ყვავილი არა აქვს აცრილი, აუცრიანო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ფშავი, (თიანეთის მაზრა). ყოველის მხრიდგან ქურდობა-ავაზაკობას უჩივიან და არც ჩვენ გვაკლებენ თავიანთ ყურადღებას კავკასიონის მთის იქითელი ქისტები, რომლებიც ხანდახან გვეტუმრებიან ხოლმე საქონლის მოსატაცებლად. წრიეულსკი ამ ავაზაკებს კაი დარი ვერ დაუ-

---

— პატარა ვილჰელმინაა, ძლიერ უნდა თავისს დედას აკოცოს!

— ჰო, ვილჰელმინას შეუძლიან შემოვიდეს.

ერთხელ კიდევ ვილჰელმინას მასწავლებელმა ქალმა ვიტნერმა უბრძანა დაეხატნა ევროპის რუკა. ვილჰელმინამ რუკა რიგიანად ვერ დახატა. მასწავლებელმა ქალმა დახედა რუკას და გაოცდა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ეგ რა დაგიხატავთ, მთელის ევროპის საზღვრები სულ ერთიანად გადაგირევიათ.

— მერე რაო,—მხიარულად უპასუხა ვილჰელმინამ. მეფეებს მუდამ ჰქონდათ ეგ უფლება.

ჯერ ისევ ბავშვი იყო, რომ არა ერთხელ დაამტკიცა მამულის სიყვარული. როდესაც უამბეს, რა ტანჯვა გამოიარა ჰოლანდიამ, ვიდრე ესპანიის მფლობელობისაგან დაიხსნიდა თავს, გაჯავრებულმა ვილჰელმინამ წამოიძახა: ესპანიის მეფეს ჩემს სასახლეში ფეხს არ შევადგმევინებო. მეორედ თავისი მასწავლებელი ინგლისელი ქალი იმით გააჯავრა, რომ ევროპის რუკაზე ჰოლონდია ძლიერ დიდი დაჰხატა და ინგლისი-კი სულ პაწაწინა.

ძლიერ თავ-ნებაც არის თურმე დედოფალი ვილჰელმინა. ამსტერდამში რომ უნდა წასულიყო გვირგვინის კურთხევისათვის, აიხირა უეჭველად ცხენით უნდა წავიდე და არა ეტლითაო. რამდენს ეხვეწა დედა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს რჩევისათვის მიჰმართა პარლამენტის წევრებს, რომელთაც ერთხმად გადასწყვიტეს, ყოვლად შეუძლებელია დედოფალი ცხენით შევიდეს ამსტერდამშიო. ერთი წევრი პარლამენტისა სასახლეში დაიბარეს და სთხოვეს ჩაეგონებინა ახალგაზდა დედოფლისათვის, რომ დასთანხმებულიყო ეტლით მისვლაზე ამსტერდამში.

დედოფალი ვილჰელმინა იმ წამსვე მიხვდა, რისთვისაც მოვიდა სასახლეში მოხუცებული წევრი პარლამენტისა, ქალაქის მოურავს N-ს მფარველობის ნიშნად დაუქნია თავი და ხელი გაუწოდა საკოცნელად.

— დაჯექით, შვილო,—უთხრა დედოფალმა ემმამ,—მინგერი N აქ იმისთვის მობძანდა, რომ მოგველაპარაკოს ამსტერდამში მისვლის თაობაზე.

— კეთილი,—უპასუხა ვილჰელმინამ.

— დაჯექით, განიმეორა დედოფალმა, რადგანაც უნდოდა, რომ მოხუცებული მოურავი მალე დამჯდარიყო.

ვილჰელმინას ფიქრადაც არ მოსდიოდა ამ ბრძანების ასრულება.

— თქვენო უდიდებულესობავ, დაიწყო მინგერმა N-მა, თქვენ განაცხადეთ სურვილი...

— დაჯექით,—განიმეორა კიდევ დედოფალმა ემმამ.

დედოფალი ვილჰელმინა დაბრძანდა და მოხუცი მოურავიც დაეშვა სავარძელზე.

— თქვენმა უდიდებულესობამ განაცხადა სურვილი ამსტერდამში ცხენით შესვლისა, მაგრამ ეგ შეუძლებელიაო...

— როგორ თუ შეუძლებელია!—წამოიძახა ვილჰელმინამ და ფეხზე წამოხტა.

მოურავი როგორც იყო წამოდგა ხვნეშით.

— დაჯექით, შვილო,—კიდევ უთხრა ვილჰელმინას დედოფალმა ემმამ.

ვილჰელმინამ ვითომ ვერ გაიგონა.

— ნუ თუ ეს ყოველთვის ასე იქმნება! ნუ თუ მე არ შემეძლება ისე მოვიქცე, როგორც მსურს!

— ეხლა საშუალო საუკუნოების დრო აღარ არის—უპასუხა მოურავმა.

— და ჩვენი დედოფალი უფრო მშვენიერი იქმნება ეტლში, ვიდრე ცხენით.

— დაჯექით,—განუმეორა დედოფალმა ემმამ.

ფიცხი ქალი კოხტად დაეშვა ტახტზე და იმავე დროს ჭრიჭინი დაიწყო სავარძელმა, რომელზედაც მოურავი დაეშვა.

— თქვენო უდიდებულესობავ, სწორედ რომ მშვენიერი იქმნებით ეტლში. ჩვენ გადავწყვიტეთ...

— გადასწყვიტეთ!—წამოიძახა ვილჰელმინამ და ფეხზე წამოხტა. კიდეც გადასწყვიტეთ! კარგია! ძლიერ კარგია!

მოხუცმა მოურავმა კვლავ ამოიხვნეშა, სავარძელმა კვლავ ჭრაჭუნი დაიწყო და მინგერი N როგორც იყო ფეხზე წამოდგა. დედოფალი ემმა განრისხდა.

— კმარა,—უთხრა ვილჰელმინას. საქმე უთქვენოდაც გარდასწყდება. თქვენ მხოლოდ წაგიკითხავთ პარლამენტის გარდაწყვეტილებას და იმედი მაქვს, რომ იმ ბატონებს თქვენ ტიკინებივით ვერ ათამაშებთ, როგორც დღეს.

— კარგი,—უპასუხა ღიმილით დედოფალმა. ვნახოთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მინგერ N.

თავი დაუკრა ორთავეს და წავიდა. რა მოხდა მერე, როგორ დაიყოლიეს დედოფალი ვილჰელმინა, არავინ იცის, მაგრამ ამსტერდამში-კი ოქროს ეტლით წავიდა, რომელიც ქალაქმა საჩუქრად უძღვნა.

დედოფალი ვილჰელმინა მეტად ლამაზი ქალია. ჰოლანდიელებს ძლიერ უყვართ და დიდს პატივსა სცემენ. არ არის მთელს ჰოლანდიაში ისეთი სახლი, სადაც რომ არ იყოს დედოფლის ვილჰელმინას სურათი, მარტო კედლებზე-კი არა, არამედ ჭურჭელზე, ხელსახოცებზე, თამბაქოს ყუთებზე, საათებზე, სხვა-და-სხვა სამკაულზე.

ეხლა ცხადია, რად უყვართ ჰოლანდიელებს თავიანთი დედოფალი, რომელსაც ისე უყურებენ, როგორც თავისს სწორს. საყურადღებოა თვით წესი დედოფლის გვირგვინის კურთხევისა. ეს კურთხევა მხოლოდ განახლებაა იმ ხელ-შეკრულობისა, რომელიც დაუდვიათ ოდესმე ჰოლანდიის ერსა და მეფეს. სამღვდელოება იქ არაფერ შუაშია. დედოფლის გვირგვინის კურთხევის დროს ეკკლესიაში არც ერთი ეპისკოპოსი არ იყო და თუ იყო სამღვდელოება, მხოლოდ სანახავად იყვნენ მოსულნი, როგორც სხვა წოდების კაცნი.

დედოფალი რომ მობრძანდა ეკკლესიაში, მიჰმართა შეკრებილთ სეფე სიტყვით და დაიფიცა, რომ ყოველთვის ეცდება დაიცვას თვისის ქვეშევრდომთა უფლებანი და ეცდება ხალხის კეთილდღეობისათვის, როგორც შეჰფერის კეთილს დედოფალს. მთავარ შტატების წარმომადგენელთ თავისის მხრივ შეჰფიცეს—ერთგულად ვემსახურებით ტახტსაო.

კიდევ ერთი საყურადღებო ამბავი. ჰოლონდიის კონსტიტუციაში სწერია: ვინაიდგან შეიძლება შტატების წარმომადგენელთა შორის იყოს ისეთი, რომელსაც ღმერთი არა სწამს, იმას შეუძლიან ფიცი არ მიიღოს. ასეთივე უფლება აქვს მინიჭებული მეფესა ანუ დედოფალს. დედოფალმა ვილჰელმინამ დაიფიცა, მაგრამ ზოგიერთი წარმომადგენელი მხოლოდ უახლოვდებოდა დედოფლის ტახტს და ერთგულების პირობას აძლევდა. ეს იყო და ეს, ამით გათავდა გვირგვინის კურთხევა. თავისუფლების მოყვარე ჰოლონდიელისათვის ესეც საკმარისია.

ა. ნ.

დგათ და შვიდი კაცი შეიქმნა თავიანთის თავხედობის მსხვერპლი. ამ ოქტომბრის დამდეგს სოფელს ინოში ერთს იქაურს მცხოვრებს მოჰპარეს ღამე კარზედ დაბმული ცხენი. პატრონმა ქურდობა ისევ ღამე გაიგო და, რადგან ეჭვი აქ ხშირად მოარულ ქისტებზედ მიიტანა, მაშინვე გასწია ორწყალისკენ გზის შესაკრავად. ქურდებს უთუოდ ამ გზით უნდა გაევლოთ, ამ ადგილას ფშავისა და ხევსურეთის არაგვი ერთად იყრება და აქედგან გზაც ორია ქისტეთისკენ—ერთი ფშავზედ და მეორე ხევსურეთზედ. აქ ჩაუსაფრდნენ ცხენის პატრონი და ერთი მისი მეზობელი ბერდანის თოფით შეიარაღებულნი, მაგრამ იმ ღამეს და მეორე დღეს არავინ უნახავთ, ხოლო მეორე ღამეს შუაღამისას უცებ მოადგა ხუთი შეიარაღებული ცხენოსანი. ჩასაფრებულები წინ გადაუდგნენ და მოსთხოვეს დამდგარიყვნენ და ცხენები გაეშოთ, ავაზაკებს ამის პასუხად თოფებზედ გაევლოთ ხელი, მაგრამ თოფების სროლა ცხენის პატრონსა და მის ამხანაგს დაესწრო, თოფების სროლის შემდეგ ავაზაკები გაქცეულიყვნენ და ადგილობრივ დაეტოვებინათ ექვსი თუ შვიდი მოპარული ცხენი, მათ შორის ინოელ კაცისაც. ამ ორ კაცს ცხენები გადაუციათ ჩარგალში და გამოსდგომიან ავაზაკებს, რომლებიც გაქცეულიყვნენ ხევსურეთის გზით სოფელ ლიქოვზედ. ამ სოფლის ზევით მთაზედ მოსწევიყვნენ ოთხს ავაზაკს, ხოლო მეხუთე კი აღარ იყო თურმე მათთან. როცა მდევრებმა შორიდგან დაუძახეს, გაჩერდით და იარაღი დაჰყარეთო, იმათ, რომლებიც ბერდანის თოფით შეიარაღებულები აღმოჩნდნენ, თოფების სროლით უპასუხეს. მდევრებმაც ბერდანის თოფების სროლითვე უპასუხეს და ამ სროლის დროს მოკლულ იქმნა სამი ავაზაკი, ხოლო ერთი გაიქცა, მდევართაგანი არავინ დაზიანებულა. მეოთხე ავაზაკიც ორ წყლის ხიდის მახლობლად იპოვეს მოკლული და დამალული, ალბად იმისავე ამხანაგებმა დაჰმალეს.

ამავე ხანებში შუაფხოს საზოგადოებიდგანაც მოიტაცეს მითხოულმა ავაზაკებმა ცხენები, ორი ფშაველი იმათაც გამოეკიდა, მაგრამ ვერც მთაზედ, ვერც მთას იქით რომ ვერ მოეწივნენ, გადავიდნენ მითხოში, (ქისტეთი) და იქ გზაში, რომელზედაც იმათ უნდა გაევლოთ, ლოდინი დაუწყეს, რადგან ხევსურეთში გაეგოთ, რომ ჯერ არ გაუვლიათო. უცებ შუადღისას ავაზაკები თავზე წასდგომოდნენ მოპარულის ცხენებით; ისინი ქისტეთში თავს არხეინადა ჰგრძნობდნენ, პატრონებისა და მდევრის შიში აღარა ჰქონდათ. ცხენის პატრონი წინ გადაუდგა და მოსთხოვა ცხენების გაშვება, რომელზედაც ავაზაკებმა უპასუხეს: გაგვეცალე,სიცოცხლე ნუ მოგბეზრებიაო და თან თოფებზედ იტაცეს ხელი. ცხენის პატრონმა იმ წამსვე მიახალა გულში თოფი ერთს ავაზაკთაგანს, რომელიც უსკრულში გადაიჩეხა, გაჰფანტეს დანარჩენებიც და მომეტებული ცხენები, როგორც იყო, ხევსურეთის სამზღვარზედ მოიყვანეს და იქიდგან მეორე დღეს შინ მოვიდნენ.

ორის ქისტის მოკვლასაც ფშაველ მწყემსებსვე აბრალებენ, რომლებსაც ღამე ბინაზედ ეს ქისტები დასცემიან და ამ დროს, როგორც ამბობენ, დაუხოციათ და წყალში გადაუყრიათ. რამდენად მართალია, არავინ იცის. ვგონებ ამის შემდეგ სხვა ავაზაკები ძნელადღა გაჰბედავენ ჩვენკენ საავაზაკოდ მოსვლას, რადგან დღეს მთავრობის გონივრულისა და ყოვლად სამართლიანის განკარგულებით ჩვენც ნება მოგვეცა თავის ისეთივე იარაღით დაცვისა, როგორის იარაღითაც ავაზაკები არიან შეიარაღებულნი. ასეთივე დღე დააყენეს წინათაც ცნობილის ბაბო ქორთაშვილისა და შემდეგ არა ნაკლებ ცნობილის ჩაქუჩოფინაშვილის მეთაურობით მოთარეშე ავაზაკ ქისტებს.

გარეშე მაყურებელი

ბეთანია

—

კიდევ ბეთანია, მეტყვის მკითხველი! დიაღ, კიდევ და იმდენს ხანს, ვიდრე იქ ღირს-სახსოვარი რამ იქმნება. ჩვენი მოვალეობაა, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბოთ საზოგადოებას მის შესახებ, რადგან ტაძარი განახლების გზას ადგას.

ვისაც წინად არ უნახავს ბეთანია, ის ვერც-კი წარმოიდგენს, თუ დღეს აქ რა ამბავია. თითქმის ერთს წელიწადზედ მეტია, რაც იქ გაცხარებული მუშაობაა. ამ ხნის განმავლობაში დილიდგან საღამომდის არა სძინავსთ კაცს: ზოგი მიწას ჰზიდავს, ზოგი ხის კუნძს იღებს, ზოგი ქვას ასუფთავებს, ზოგი ქვიშასა სცრის, კირსა ჰზელავს, ცემენტს აკეთებს, რომ მალე განახლდეს ეს დიდებული ტაძარი.

ყველა ამას ჰმოთავეობს ღირსად პატივსადები მამა სვიმეონი, რომელიც უგანასკნელ მუშის როლს ასრულებს: პურსაც ის უცხობს ძმობას თავისის ხელით.

18 მაისს აკურთხეს პატარა ეკკლესია, მაგრამ, რაც მას შემდეგ გაკეთდა, ყველას აკვირვებს: ეზო გაფართოვდა დასავლეთისაკენ, აღმოსავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და მალე სამხრეთისკენაც დასრულდება. მაგრამ ეს არაფერი. მუშაობაა გუმბათში, რომელიც მეტად დაზიანებული იყო. დღეს ცემენტით ნელ-ნელა მიჰყვა ოსტატი გუმბათისკენ ქვეიდგან და გამონგრეული ადგილი აღაშენა კიდეც. ახლა საჭიროა გუმბათს ზემოდ მოექცეს ოსტატი და რაც მკვდრი, გაფუჭებული აგურებია, აცალოს, ზედ ცემენტი დაასხას და სამუდამოდ იხსნას ეკკლესია შეუბრალებელ სტიქიისაგან. ეს ასეც იქნება. განახლების დროს, რასა კვირველია, ძველი მისი ხასიათი დაცული იქნება, ახლოდ კრამიტის მაგიერ ცემენტით იქმნება დახურული და ფერად წამლით შეღებილი. აგრეთვე, სადაც შესაძლებელი იყო, იქ ძველი ჩუქურთმიანი ქვები იქმნა დატანებული, რომ ყველამ ცხადად დაინახოს, თუ როგორი ყოფილა წინად. ზოგან ასეა განახლებული: ერთი ჩუქურთმიანი ქვა ძირს აქვს დატანებული, მეორე—შუაზედ და მესამე—ზევით. დანარჩენი ადგილი ცემენტით არის ამოვსებული დამაზად. სხვა ჩუქურთმიანი ქვები შენახული იქნება ისეთ ადგილს, სადაც წვიმა და ქარი არასავნებს.

დიდს გაჭირვებაშია დიდ ტაძრის ტანი. ეს ტანი შესდგება ოთხ ფრთისაგან და თითოეული ფრთა—ორ თაღისაგან: ერთია სახურავის თაღი და მეორე—შიგნით, სადაც მხატვრობაა. რაც გუმბათიდგან დაძრულა, ამ ფრთებს აწევს და, საკვირველია, რატომ ამდენხანს არ ჩაუნგრევია ეკკლესია! ეს ასეა, მაგრამ მამა სვიმეონი ამას არ შეუშინებია: სწმენდს სახურავს, თლილ ქვას ცალკე აგროვებს, ჩუქურთმიანს—ცალკე. რაც უბრალო ქვა ან ღორღი ჩამოდის, იმასაც საქმეში იყენებს. აშენებს სამრეკლოს გვერდით რამდენსამე ოთახს, თუ გარემოებამ არ დაუშალა. ახლა მზად არის ოთხი ოთახი, ზოგი ძმობისთვის და ზოგი მოსვლელისთვის. ასე დაუღალავად ჰმართავს ამ პატიოსანს საქმეს მუდამ მშრომელი, მუდამ ფხიზელი და ეკკლესიისთვის თავდადებული მამა სვიმეონი!

წინად რომ ეკკლესიის გალავანში შესვლას ვერ ვახერხებდით, დღეს იქ მინდორია. წინად რომ დასავლეთის წყლისათვის კრაზედ უნდა ჩასულიყავით, დღეს იქ სხვას ვხედავთ: გამოქვაბნა ძველი მილი მამა სვიმეონმა, მიჰყვა და აღმოაჩინა დაკარგული, მაგრამ ანკარა წყარო, რომელიც დღეს გალავანს ჩამოუჩუხჩუხებს!

ამგვარად, ორის წლის წინად რომ ეკკლესიაში აკაკის ტყე იყო, დღეს იქ ღაღადება ისმის მშობლიურ ენაზედ. სრული იმედი გვაქვს, ოქტომბრის და მლევს გუმბათიც გათავდეს, თუ ავდრებმა არ შეაჩერა მუშაობა.

ახლა საჭიროა ჩვენც ცოტა ფული მივაწოდოთ. რატომ? მეტყვიან. იმიტომ,რომ სირცხვილია ტფილისის ახლო იყოს თამარის სახე ეკკლესიაში და მის განახლებასა და დაცვაში მონაწილეობა არ მივიღოთ.

სულით, გულით და ქონებრივადაც ყველაზედ მეტი მონაწილეობა მიიღო თ. დ. ზ. ბარათაშვილმა, რომელმაც არ დასტოვა ეს დიდებული ეკკლესია დანგრევამდის და სამუდამოდ არ დაგვიკარგა თამარის სურათი, რომლითაც ასე ღარიბაა ჩვენი ქვეყანა*).

შიგ ეკკლესიაში თავის დროზე ჩინებული მხატვრობა ყოფილა, მაგრამ დღეს ჟამთა ვითარებას ბევრი სულ წაუშლია, ბევრიც მალიან შებღალულა, მაგრამ, რაც დარჩა, ისიც საკმარისია. სამწუხაროდ კიბე პატარა გვქონდა და ზედ მხატვრობას ვეღარ შევწვდით. ჩვენ მხოლოდ მხატვრობის ქვედა ორი ხაზი გავსინჯეთ. დიდის რეცხვის და წმენდის შემდეგ ამოვიკითხეთ შემდეგი. შეხვალთ თუ არა სამხრეთის კარიდგან, მაშინვე შეგხვდებათ მარცხნივ ოთხი სურათი, რომლის წარწერა ჯერ კარგად ვერ გავარკვიეთ. მათ შემდეგ არის: 1) წ~ე იაკობ, 2) წ~ე არტემ, 3) წ~ე ფილადელფოს, 4) წ~ე კოჲრინე, 5) წ~ე ალფიოს, 6) წ~ე მერკჳლე, 7) [პ]რ[ო]—კოპი, 8) წ~ე თ~ე (თეოდორე) ტირონი, 9) წ~ე ნესტორ, 10) წ~ე ონისიმე, 11) წ~ე ფილიმონ, 12) წ~ე სიმეონ, 13) წ~ე პანკრატ მცქდი (მოციქული) მღდელი და მოწამე, 14) წ~ე თეოდორო, 15) „წ~ე ზოსიმე აზიარებს მარიამ ეგოჳპტელსა“. (აქ არიან დახატულნი ზოსიმე, მარიამ და კიდე კიდეც მესამე—მამათაგანი, მაგრამ მისი წარწერა აღარა სჩანს).—ამის შემდეგ იწყება ჩრდილოეთის კედელი, რომელზედაც ძირს დარჩენილა მარტო ესენი: 16) წ~ე (უნდა იყოს დიმიტრი. წარწერა აღარა სჩანს). მის შემდეგ არის მარცხნივ 17) გიორგი ლაშა მეჭურვილი გვირგვინით, ჯერ უწვერულვაშო. ამას აწერია მარცხნა მხრის ზემოდ ქვეითკენ ჩამოწერით: „მე თამარისი“. ლაშას მარცხნივ არის 18) თამარ მეფე. თამარს მარჯვენა მხარს ზევით გიორგი ლაშასკენ აქვს ჩამოწერილი: „თამარ მეფე“.

მარცხენა მხარს ზემოთ: „ღმრთისა ღმრთისაჲ“. თამარის მარცხნით არის მისი მეუღლე დავით სოსლანი. თამარი და დავითი სამეფო ტანისამოსში არიან. დავითს აწერია მარჯვენა მხართან: 19) „დავით მეფე“. დავითის მარცხნით დახატულია 20) წ~ე გიორგი. ამგვარად ჩვენ მეფის სახლობას მცველებად შემოსდგომიან გარს წმინდა გიორგი და წმინდა (ვგონებ) დიმიტრი. ეს მხატვრობა გვარიანად არის შენახული, მაგრამ წარწერის ამოკითხვამ მეტად გაგვიჭირა საქმე, რადგან დროთა სიავეს თვისი ბეჭედი დაუჭირავს და ამიტომაც ერთობ მრთელად იცქირება. აქედგან იწყება საკურთხეველი. აქ ქვემო ხაზზე არიან: 21) (?), 22) წ~ე გბლი (გრიგოლი) ნოსელი, 23) წ~ე გბლი პათეველი, 24) ბასილი კესარელი, 25) წ~ე ათანასე ალექსანდრელი, 26) წ~ე ი~ნე ოქროპირი, 27) წ~ე გბლი ღ~თს (ღვთის) მტყლი (მეტყველი), 28) წ~ე კჳრილე ალექსანდრელი, 29) წ~ე ნკ~ზ (ნიკოლოზ), 30) „წ~ე გბლი საკვრლთ (საკვირველთ) მოქმედი“, 31) წ~ე პ~ე (პეტრე) ალექსანდრელი, 32) „წ~ე აბრკი (ამბროსი) სწორმოციქულთა“. საკურთხეველში ჩრდილოეთის კარზეა: 33) წ~ე ჯრსიმე, სამხრეთისაზე: 34) წ~ე ეფთჳმე. გუმბათის სვეტზე შენახულა ზოგიერთი ნახატი, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ: ჩრდილოეთის სვეტზე 35) წმინდა ნინო ჯვარით მარჯვენა ხელში და სახარებით მარცხენა ხელში. იქვე სამხრეთის სვეტზე, 36) წ~ე იოანე ზედაზნელი და 37) წ~ე შიო. სამხრეთის კედელზეა შემდეგი ნახატი: საკურთხევლის მახლობლად არის ღვთისმშობლის ხატი. მის წინ სდგას მთავრის ტანისამოსში გიდაც, რომელსაც ხელში უჭირავს ბეთანიის ეკმა და უძღვნის უ~დ წმიდას. მას გვერდში უდგას, ვგონებ მეუღლე მისი, სადღესასწაულო ტანისამოსში. ორივე მეტად შებღალულია, ასე რომ მათი სახე თითქმის აღარა სჩანს. დიდის რეცხვა-წმენდის შემდეგ, ამ მაშენებლების ზემოდ და გვერდზედ შევამჩნიეთ ხუთი ასო: ზევით „მთ“ და ქვევით, იქვე „სოპ“. ეს წარწერა, როგორც ყველა ეკკლესიაში, ასომთავრულია. თუ წარწერის ამოცნობაში არ შევცდით, ეს ასოები სხვას გვეუბნება, ვიდრე ვგონა. რას?

ეს ასოები და მათი აზრი ეთანხმება პატარა ეკკლესიის წარწერას. ჩვენ ვიცით, რომ პატარა ეკკლესიის ქორონიკონი უჩვენებს 1196 წ. და ეს ხომ თამარის დროა? ვნახოთ.

ა. ქუთათელაძე

*) თამარის სურათია აგრეთვე ვარძიაში, რომელიც სძევს ახალციხის მაზრაში. მეტი სხვაგან ჩვენ არ ვიცით.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ფულიანი და შეძლებული კაცები მათხოვრებს შორისაც ყოფილან თურმე, მაგრამ ეს უკანასკნელნი ისე ეჩვევიან ამ ხელობას, რომ რაც უნდა ბევრი ფული შეიძინონ, მაინც თავი ვერ გაუნებებიათ იმისთვის. აი, ერთი რუსული გაზეთი რასა სწერს:

„ამას წინად პარიჟში გარდაიცვალა ერთი კუზიანი მათხოვარი. ეს მათხოვარი რამდენსამე წელიწადს ერთის ეკკლესიის კარებში იდგა და თითო-ოროლა გროშს იღებდა გამვლელ-გამომვლელთაგან. ყველას უკვირდა, რომ ამ კაცის კუზი, რაც დრო და ხანი გადიოდა, თანდათან იზრდებოდა. მაგრამ სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ მათხოვარს კუზი სრულებით არა ჰქონია, კუზის ადგილას პატარა ტომარა აღმოჩნდა, რომელშიაც 96,000 ფრანკი იდო თურმე.

„ერთს პეტერბურგელ მათხოვარზე შემდეგს ამბობენ: ზამთრის ცივს ღამეში ამ მათხოვარს თავისის ცრემლებით ისე მოულბია ერთის სტუდენტის გული,რომ ამ უკანასკნელს რაც ქისაში ფული ჰქონია ამოუღია და იმისათვის გადაუცია. რამდენისამე ხნის შემდეგ სტუდენტი ავად გახდა და გაკვეთილები დაჰკარგა. ბოლოს ისე გაუჭირდა, რომ მათხოვრობაც-კი დაიწყო. შემთხვევით ქუჩაში იმავე მათხოვარს შეხვდა, რომელსაც ოდესღაც ფული მისცა. მათხოვარმა იცნო სტუდენტი და შინ მიიწვია. სტუდენტი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, რომ უარი არ უთხრა და თან გაჰყვა. მაგრამ იმის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მათხოვარმა მშვენივრად მოწყობილ სახლში შეიყვანა და თავისი ცოლი და ქალი გააცნო. იმასაც უმატებენ,რომ სტუდენტმა ამ მათხოვრის წყალობით დაასრულა სწავლა და შემდეგ იმის ქალი ცოლადაც-კი შეირთოო.

„კავკასიაში ამას წინად გარდაიცვალა მათხოვარი ებრაელი, რომელსაც 30,000 მანეთი შეძლება დარჩა“.

ათას ხრიკსა და ხერხს ჰხმარობენ თურმე მათხოვრები, რომ ხალხს როგორმე ორიოდე გროში დასტყუონ. ამ შემთხვევაში ყველას პარიჟის მათხოვრები აჯარბებენ.

„მათ, მაგალითად, განსაკუთრებული დავთრები, კალენდრები აქვთ, სადაც იმათი სახელი, გვარი და ადრესი უწერიათ, ვინც ქველ-მოქმედებით არის ცნობილი. ბევრი საყურადღებო და მათხოვარისათვის საჭირო ცნობებია მოთავსებული ამ დავთრებსა და კალენდრებში. შეხვდებით, მაგალითად, ასეთს შენიშვნებს: „ბ-ნი ა.—მდიდარი მესაკუთრე, ხუთ ფრანკს ადვილად იმეტებს, ხანდახან სახლის ქირასაც იხდის. ბ-ნი ბ.—ფულს არასოდეს არ იძლევა. ტანისამოსს უფრო ადვილად იმეტებს. ქვრივი ვ.—მხოლოდ ბავშვებსა ჰშველის. იმას თეთრეულისათვის უნდა მიჰმართოთო“ და სხვა.

რუსეთი

—

— გაზ. „Новост“-ის სიტყვით ნიჟნი-ნოვგოროდში არსდება უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი. ეს საგანი პირველად რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების ნიჟნი ნოვგოროდის განყოფილებამ აღძრა და ქალაქის თვით-მართველობამაც მხარი დაუჭირა. ქალაქი ჰპირდება სასწავლებელს საჭირო მიწის ნაჭერს შენობის ასაგებად და ყოველ წლივ 10,000 მანეთს, ან ერთხანად 200,000 მანეთს. სახალხო განათლების სამინისტრო თანაგრძნობით მიჰგებებია ამ შუამდგომლობას და ამ საგნის შესახებ უკვე მოლაპარაკებას შესდგომია ფინანსთა სამინისტროსთან. სატეხნიკო საზოგადოება და ქალაქის თვით-მმართველობა შუამდგომლობენ, რომ ნოვგოროდში სატეხნოლოგიო ინსტიტუტი იქმნას დაარსებული, მაგრამ სამინისტრო ამ ინსტიტუტს პოლიტეხნიკუმ სამჯობინებს, ასე რომ, გაზეთის სიტყვით, საფიქრებელია უფრო პოლიტეხნიკუმი იქმნას დაარსებული, ვიდრე სატეხნოლოგო ინსტიტუტი.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ წელს ტომსკის უნივერსიტეტს იურიდიული ფაკულტეტიც მიუმატეს. ამ ფაკულტეტზედ შესვლის სურვილი 70 კაცს განუცხადებია

მათ შორის 20 იმავე უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტს. ახლად დაარსებულ იურიდიულ ფაკულტეტის დეკანად დანიშნულ იქმნა ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ი. გ. ტაბაჩნიკოვი.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სამთაო დეპარტამენტს აზრადა აქვს ყოველ წელიწადს გაჰგზავნოს ხოლმე ციმბირსა, კავკასიასა და სხვა ადგილებში სამთაო ინსტიტუტის სტუდენტები ამ ადგილებში მადნეულობის გამოსაკვლევად.

უცხოეთი

საფრანგეთი. გერმანიის ერთის გაზეთის სიტყვით, ინგლისის გენერალ-კიტჩენერს, რომელმაც დერვიშები დაამარცხა ომდურმანთან და რომელიც კინაღამ მიზეზი გახდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომისა ფაშოდის გამო, 1875 წელს საფრანგეთის ჯართან ერთად გერმანიის წინააღმდეგ უბრძოლია. იმას აფიცრობა მიუღია თუ არა, მაშინვე საფრანგეთის ჯარში ჩაურიცხავს თავი თავისუფალ მეომრად და საომრად წასულა, მაგრამ ავად გამხდარა და ამის გამო სამსახურისთვის თავი დაუნებებია. კიტჩენერის დედა 30 წელი მეტია რაც საფრანგეთის ქალაქს დინანში სცხოვრობს თურმე.

— როგორც გაზ. „Liberte" მოგვითხრობს, ლოკრუას, სამხედრო სამინისტროს დროებით გამგედ დანიშვნისთანავე, თავისი მდივანი გაუგზავნია სამინისტროში გასაგებათ — ყველა ქაღალდი არის თავისს ადგილას თუ არაო. ასეთი საფრთხილე უადგილო არ არისო, ამბობს გაზეთი, მხედველობაში თუ ვიქონიებთ, სად რა საიდუმლო ქაღალდებია იმ შენობაში, საცა ზედიზედ იცვლებოდნენ მერსიე, ბილიო, კავენიაკი, ცურლინდენი და შანუანიო. ზოგიერთებს კიდეც ეშინიათ, ვაი თუ ერთობ საჭირო და საფრთხილო ქაღალდები კიდეც დაიკარგაო.

— გაზ. „Siécle"-ს სიტყვით, ბრისონმა იმიტომ მიიწვია შანუანი სამხედრო მინისტრად, რომ ამ უკანასკნელმა, ბუადერფვის სამსახურიდგან გადადგომის შემდეგ, მინისტრს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც თავისს სიხარულს აცხადებდა, რომ მთავარი შტაბი ბუადერფვისაგან განთავისუფლდაო. როგორც გაზეთი ჰფიქრობს, ეს წერილი უთუოდ დაიბეჭდება თავისს დროზედ.

— საკასაციო პალატაში 15 ოქტომბერს, როცა დრეიფუსის შესახებ მოხსენებას კითხულობდა პალატის წევრი ბარდი, ძლიერ ცოტა ხალხი შეუშვიათ და ისიც ბილეთებით. ჟურნალ გაზეთების წარმომადგენელთათვის ორმოცი ადგილი ყოფილა და გარეშე მაყურებელთათვის ოც და ათი. რადგან ნაციონალისტებს და ანტისემიტებს მუქარა დაუწყიათ, — სასამართლოს დარბაზის კარებს გავტეხავთ და ძალათ შემოვალთ დარბაზში, ხალხსა და მოსამართლეთა შუა ათი პოლიციელი მჯდარა, უფროს ბრალმდებლის გასწვრივ ხუთი სკამი დაუდგამთ ქალებისათვის.

გამოჩენილი იურისტი ლაბორი, დემანჟი და ალბერ კლემანსო დასწრებიან სასამართლოში, მაგრამ, როგორც ვექილებს, ვექილის ტანისამოსი სცმიათ. ასეთი ჩვეულება ჰქონიათ, რომ საკასაციო პალატაში შესვლა ვექილებს უბრალო ტანისამოსით არ შეუძლიანთ თურმე; უთუოდ ვექილის ტანისამოსი უნდა ეცვათ.

—

შეერთებული შტატები. პრეზიდენტს მაკ-კინლეის ამერიკის რამდენისამე გამოჩენილ კაცისთვის უთხოვნია — თქვენი აზრი გამაგებინეთ, კუნძულის ლიუცონის (ფილიპპეს კუნძულებთაგან ერთ-ერთი კუნძულია) შემოერთება შეერთებულის შტატებისთვის სასარგებლო იქმნება, თუ საზარალოო. პრეზიდენტისათვის უპასუხნიათ, რომ მარტო ამ ერთის კუნძულის შემოერთება შტატებს ზარალის მეტს არაფერს ხეირს მისცემს, რადგან ეს ერთი კუნძული ერთობ დიდს ხარჯს მოითხოვს, რომელსაც მისი შემოსავალი ვერ დაფარავსო. ამისათვისო, ურჩევიათ პრეზიდენტისათვის, ან ფილიპპეს კუნძულები სრულიად შემოიერთოდ და ანუ ამ ერთის კუნძულის (ლიუცონის) შემოერთებას თავი უნდა დაანებოთო.

დამაკვირდი

ვიდრე ძაღლი მკვლისა ჭღრღნის, ნუ მიუალერსებ.

ვ. კუროჩკინი

* * *

ნუოდეს ზვაობ კეთილად ნავით სლვასა, ნუცა მოუკვსსა მაყვედრებელ ექმნები.

ნიკოლოოზ ტფილელი

* * *

სიყვარულს თან ბევრი მწუხარება სდევს, მაგრამ შეუყვარებელთათვის ეს მწუხარებაც ნეტარებაა ხოლმე..

ბ. დ—შვილი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონის მახლობლად მცხოვრებმა ვ. კარტერმა უჩივლა ერთს თავისს მეზობელს ქალს და მოსამართლეს სთხოვა—ამ დედაკაცს სიმღერა აუკრძალეთო.

მოსამართლემ სთქვა—ეს თხოვნა შესაწყნარებელი არ არისო და ჰკითხა მოპასუხეს—დიდხანს ხომ არა მღერიო.

—ერთს საათს დილითა და ერთს საღამოთი.

—მარტო ორ საათს! სთქვა მოსამართლემ. ამისათვის ხომ ჩივილიც არა ღირდა.

საბრალო კარტერმა მოახსენა მოსამართლეს, იმ დრომდე ვერ გადასწყვეტთ სამართლიანად ამ საქმეს, ვიდრე თქვენ თითონ არ მოისმენთ ამ დედაკაცის სიმღერასაო. გთხოვთ, ბატონო მოსამართლევ, აქვე ამღეროთ ეს ქალიო. მომღერალს ქალს ხვეწნა აღარ დასჭირდა და დაიწყო მღერა. მოსამართლე წამოხტა, ყურებში თითები დაიცო და დაიძახა: „კმარა! კმარა! საქმე გარდაწყვეტილია!"

მომღერალ ქალს მოსამართლემ მღერა აუკრძალა.

* * *

ჟურნალი „ელექტროტეხნიკი" მოგვითხრობს ერთს უბედურს შემთხვევას: ოცს ივლისს ღამე ხარკოვში საშინელი ქარი ატეხილა და თან ელვა-ჭექა დაჰკოლია. ქარს გაუწყვეტია ერთი მავთული, რომელიც დინამო-მანქანიდგან მოდიოდა გასანათებელ ლამპარისაკენ. როგორღაც მოხდა თურმე, რომ ამ მავთულში განლართულიყო ძროხა და რადგან მავთული დინამო-მანქანისაგან ისევ მუშაობდა, ესე იგი ელექტრონის ძალა კიდევ მიმდინარეობდა მავთულში, ძროხა უცებ წაიქცა და დაიწყო საშინელი ბღავილი და ფართხალი. ამ ბღავილზედ გაექანა ღამის ყარაული შევჩენკო და არ კი იცოდა საქმე რაში იყო. საშინლადა ბნელოდა. ძლივს მიაგნო ძროხას და შეეხო თუ არა, ელექტრონის ძალა ახლა შევჩენკოს ეძგერა და [illegible] იქვე წააქცია. შევჩენკო მოჰყვა ყვირილს. მოგროვდა ამ ბნელაში ხალხი და ვერავინ ჰბედავდა ახლო მისვლას. არ იცოდნენ, რას ჰნიშნავდა ძროხის ღმუილი და შევჩენკოს ყვირილი. ამ დროს ერთი სტუდენტი მიდიოდა საზურაანთ აგარაკისაკენ და ხმაურობა რომ გაიგო, გაეშურა იქით. თუმცა მიზეზი ვერც სტუდენტმა გაიგო, მაინც კაც-მოყვარე გულმა მოსვენება არ მისცა და დააპირა მიშველებოდა შევჩენკოს, რომელიც მიწაზედ იყო გართხობილი. ხალხი სტუდენტს არ უშვებდა, მაგრამ სტუდენტი სიფრთხილით მიუახლოვდა და დააცქერდა საცოდავს სურათს. მიხვდა ყველაფერს, მაგრამ შველა-კი ვერ გაჰბედა, რადგან კარგად იცოდა, რომ შეჰპებოდა იმათ, მაშინვე იმასაც წააქცევდა. გამობრუნდა და დინამა-მანქანა შეაჩერებინა. შეატყობინეს პოლიციასაც და როცა ფარნებით მოეშველნენ, უკვე გვიანღა აყო. შევჩენკო მომკვდარიყო.

ეს ამბავი გვაგონებს ერთს შემთხვევას, რომელიც მოხდა სათავად აზნაურო თეატრში თ. რაფიელ ერისთავის იუბილეიზედ. როდესაც იუბილიარის მილოცვა გათავდა და მხცოვანმა პოეტმა გასწია კარებისაკენ, ხალხი წინ მიაწყდა და გასავლელი გზა აღარ იყო. ბ-ნს ღ—ძეს უნდოდა თურმე რომ ყველაზედ წინ წასულიყო და გზა კი არ იყო. სუფლიორის ბუდკისაკენ ჩაუხვია, სცენის ქვეშ ჩაძვრა და ბნელაში რომ არ წაქცეულიყო, ხელებს კედელზე აფათურებდა და ისე მიდიოდა. წააწყდა დინამო-მანქანის გასანათებელ მავთულს, რომელიც ერთს ადგილას ყოფილიყო (უთუოდ სუფლიორისა იქმნებოდა) და შეეხო თუ არა. მავთულმა უცბად თითქოს გაანათა და ხელის გული ისე ეტკინა, რომ „ვაი" დაიძახებინა. ამოვარდა ზევით შეშინებული და ხელის გულს იშინჯავდა, რომელიც ისე ჰქონდა შეტრუსული, თითქოს მუგუზალი სდებია ხელის გულზედაო. ბ. ღ—ძეს რომ მალე არ აეგლიჯა ხელი მავთულიდგან და დინამო-მანქანის სრული მოქმედება რომ ამ მავთულისაკენ ყოფილიყო მიმართული, ნამდვილად ბ. ღ—ძესაც ის უბედურება დაემართებოდა, რაც საწყალს შევჩენკოს დაემართა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 ოქტომბერი

იერუსალიმი. დიდის სიცხეებისა გამო ნაზარეთსა და ტივერიადში წასვლა აღარ მოხდა. იმპერატორის სახლობამ იერუსალიმი დასტოვა.

პარიჟი. ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია დიუპუის მიერ კაბინეტის შედგენა. კაბინეტს თანაგრძნობით მიეგება ჟურნალ-გაზეთობის უმეტესობა.

საფრანგეთ-ინგლისის შორის განხეთქილება მატულობს. გაზეთები იუწყებიან, რომ ყველა ზღვის პირა სამხედრო ქალაქში მზადება არისო.

ვენა. რამდენიმე დღის წინად ტალიენვანში მისული ავსტრიის კორვეტი, რომელმაც შემდეგ გზა განაგრძო, ნაპირზედ გადასვამს ზღვაოსანთა რაზმს და პეკინში წავა.

ვენა. „Allgemeine Zeitung"-ს გაუგონია, რომ კრეტის გუბერნატორად ბატონიშვილის გიორგის დანიშვნის წინააღმდეგი აღარავინ არისო. გაზეთი ამბობს: „რუსეთის დიპლომატია ამ საქმის შესახებ ერთობ მოხერხებულად იქცეოდა და ამით ღვაწლი დასდო როგორც საბერძნეთს, ისე ოსმალეთს. რუსეთს მადლობის იმედი უნდა ჰქონდეს როგორც კონსტანტინეპოლის მხრივ, ესე ათინისა.

ჰონკონგი. აქაურს სამხედრო ფლოტის უწყებაში უკანასკნელ დღეებში დიდი მოძრაობაა, რომლის მიზანი არავინ იცის. ინგლისის ყველა სამხედრო გემები იტვირთება სურსათით და საომარი იარაღებით და ბრძანება მიუვიდათ დაუყონებლივ ზღვაში გასასვლელად წავიდნენ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების"
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

2) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.

3) **ვეფხის-ტყაოსანი,** ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—3)

საჭმლის მარილი

მეტად სუფთა და საუკეთესო საჰიგიენო ნაწარმოები
„რ. კელერისა და ამხ."
მოსკოვის ქარხნისა. ისყიდება **ყველგან და ყველა** ქალაქების დიდ ვაჭრებთან. ამ მარილს ისეთი თვისება აქვს, რომ არასოდეს არ დანესტიანდება და სამარილეში მუდამ ფხვნილად იქმნება შენახული. („Столовая соль"). (3—მ.—3)

სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ერთი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნაკისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება განსაახლებლად ცხეთის ტაძრისა. ამ დღეებში წიგნაკი გაეგზავნებათ მთავარ მაღაზიებს დასავლეთს საქართველოში. (6—ნ.—6)

ПЕРВЫЙ НОМЕРЪ ГАЗЕТЫ

„РУССКІЙ ТУРКЕСТАНЪ"

выйдетъ **двадцать пятаго сентября** и впредь газета будетъ выходить три раза въ недѣлю

по Воскресеньямъ, Средамъ и Пятницамъ

программа газеты:

(1 Передовыя статьи, 2) Научный отдѣлъ, 3) Среднеазіатская общественная жизнь, 4) Итоги сельскаго хозяйства, 5) Жизнь въ степи, 6) У нашихъ сосѣдей, 7) Желѣзно-дорожное дѣло, 8) Среди газетъ и журналовъ, 9) Азіатское эхо, 10) Хроника русской жизни 11) Мѣстная хроника, 12) Зрѣлища 13) Изъ зала суда, 14) Фельетонъ, 15) Библіографія, 16) Смѣсь, 17) Справочный отдѣлъ, 18) Телеграммы Россійскаго Телеграфнаго агентства и 19) Объявленія.

Плата за объявленія на первой страницѣ по 20 к. и на послѣдней по 10 коп. за строчку петита за каждый разъ.

Подписка на текущій годъ принимается **на срокъ съ 1-го Октября,** при чемъ лица, подписавшіяся съ этого времени, получатъ всѣ номера газеты, которые выйдутъ до перваго октября.

Подписная цѣна: на 1 годъ 7 руб.; на 6 мѣсяцевъ 4 р., на 3 мѣсяца 2 руб. и на 1 мѣсяцъ 70 коп., съ пересылкой и доставкой на домъ; за гроницу на 1 годъ 9 руб. Отдѣльный номеръ 6 к.

ПОДПИСКА И РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА ГАЗЕТЫ ПРОИЗВОДЯТСЯ:

въ Ташкентѣ въ конторѣ редакціи и книжномъ магазинѣ „Букинистъ";

въ Самаркандѣ въ книжномъ магазинѣ „Букинистъ" — **въ Вѣрномъ** въ книжномъ магазинѣ Шаврова.

Пріемъ объявленій производится исключительно въ конторѣ редакціи, Соборная ул., домъ Умидова.

Для личныхъ объясненій редакція открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней, отъ 6 до 9 часовъ вечера.

Редакторъ *И. Гейеръ*. Издатель *А. Сморгунеръ*. (3—უ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 22 го Октября 1898 г
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე